შპს "ჯორჯიან მანგანეზი"

"Georgian manganese" LLC

#289 05.08.2021

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიან მანგანეზი"-ს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშსა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით გარკვეული ღონისძიებები იქნა გატარებული გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, კერძოდ:

- ქარხნის N1 და N4 საამქროების მტვერდამჭერი ფილტრების აერაციულ ფანრებზე დამონტაჟებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემები და დაწყებულია მათი ექსპლუატაცია;
- მომზადებულია ქარხნის საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის რეალიზაცია დაგეგმილია უახლოეს პერიოდში;
- აღდგენილია ე. წ. „ავარიული დამბა" ანუ ხარჯის რეგულირებისათვის განკუთვნილი ფარი და ფუნქციონირებს გამართულად;
- ჩატარებულია N1 საამქროს სადნობი ღუმელების გაგრილების სისტემის რეკონსტრუქციის სამუშაოები, კერძოდ: მოხდა სისტემის თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარ მოწყობილობით აღჭურვა. სისტემისათვის წყალმომზადების პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები ჩაშვებულია ქარხნის საწარმოო-სანიაღვრე კანალიზაციის ქსელში;
- დამატებით ჩატარდე ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების ინსტრუმენტული გაზომვები. გაზომვის შედეგების მიხედვით, ხმაურის გავრცელების დონეები არ აჭარბებს ნორმირებულ დონეებს;
- მტვრის გავრცელების რისკების მინიმიზაციის მიზნით ქარხნის შიდა გზების ზედაპირებზე მოწყობილია მყარი საფარი;
- და სხვა.

ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების თაობაზე მოცემულია დანართში.
წერილს თან ერთვის: ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე რეაგირების თაობაზე -1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,
შპს „ჯორჯიან მანგანეზის"
სპეციალური მმართველი ნიკოლოზ ჩიქოვანი